რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.


# დროება


გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუსაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი



მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 11 დეკემბერს.

პირველი დებიუტისათვის ბ. ქავთელისა ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

ორ-ცეცხლ-შუა

დრამა 3 მოქმედ. თხზ. ე. ჟერარდენისა, ნათარგმნი ბ. მაჩაბლისა.

პირველად

გამოცდა ნიშნობის წინა დღით

კომედია-ვოდევ. თხზ. მოჩხუბარიძისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (3—3)


## სხვის ხარჯზე გულ-შემატკივარნი.

თბილისი, 11 დეკემბერს.

თბილისის ერთს სასტუმროში სცხოვრებს განგებ პეტერბურგიდამ გამოგზავნილი ჩინოვნიკი «ტაინი სოვეტნიკი» ბუხი, რომელსაც მინდობილი აქვს ერთის, ბევრისათვის საყურადღებო, დაწესებულების გაუქმება. ეს დაწესებულება არის განსვენებულის ვორონცოვისაგან დაარსებული პრიკაზი, რომელშიაც დაგირავებულია, როგორც ქალაქისა და სოფლის მამულები, ისე მრავალი ღარიბ-ღატაკის ხალხის ნივთეულობა. წმინდა მოგება ამ დაწესებულებისა ხმარდება სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმეს: სასწავლებლებს, ღარიბთა და უძლურთათვის თავ-შესაფარ სახლებს და სხვათა. როგორც ისმის, ეს დაწესებულება მომავალს წელს უეჭველად გაუქმდება და მისი საქმეები ზოგი სახელმწიფო ბანკს გადაეცემა, ზოგი თვით ქალაქს. ამ საგნის თაობაზედ წარსულს ორშაბათს ქალაქის საბჭოში მოხდა დიდი ბაასი, რომელზედაც ქალაქის ხმოსანთ თვისებამ აშკარად თავი იჩინა.

წელანაცა ვთქვით, რომ პრიკაზში დაგირავებულია, როგორც ქალაქისა და სოფლის მამულები, ისე წვრილი ნივთეულობა. სოფლის მამულებზედ სჯა ქალაქის საქმე არ არის. მას შეეხება მხოლოდ ქალაქის მამულებისა და წვრილის ნივთეულობის დამგირავებელთა ბედი, რადგან უკანასკნელებს აღმოურჩევიათ იგინი და მათ კალთაში თავიანთ ბედ-იღბალი გაუხვევიათ.

ახლა გავსინჯოთ, რა გადასწყვიტა ქალაქის საბჭომ და როგორ იზრუნა ჯერ მამულისა და სახლის პატრონებზედ, და მასუკან იმ ღარიბ-ღატაკ ხალხზედ, რომელნიც იძულებულნი ყოფილან, და დღეს კიდევ უფრო არიან, თავიანთ უკანასკნელი ქონება დასაგირავებლად წაიღონ სადმე.

თბილისში არსებობს ერთი დაწესებულება, რომელსაც «კრედიტის საზოგადოება» ჰქვიან და რომელიც გირაოს ფურცლებით იძლევა სესხს მარტო თბილისის მამულებზედ. ამ «კრედიტის საზოგადოების», ან უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ბანკის ბილეთები ათ-თუმნიანი შვიდ თუმანზედ მეტად არ გადის და ვალის აღებთა, მაშასადამე, ყოველ ნაღდ შვიდი თუმნის ბილებაზედ ათი თუმანი ვალი უნდა იკისრონ. ქალაქის საბჭომ ხსენებულ სხდომაზედ აღძრა

«დროების» ფელტონი, 11 დეკემბ.

## კითხვა—პასუხი.

ნეტა რას ფიქრობ, რას გიწუხს სული?
რამ გაგიტეხა ჯანი და გული?..
სოფლის მუშა ხარ, შენ გახლავს ხარი,
შენ იმას, მან შენ მოგაბას მხარი...
უნდა გაინძრა და დაიჩარჩო,
მოხნა, მოთესო, მოიმკო სარჩო;
ტყე და მინდორი, უხვი და ვრცელი,
ყველა.....—მოუსვი ცელი!.......

—

ნეტა რას ფიქრობ, რას გიწუხს სული?
რამ გაგიტეხა ჯანი და გული?..
ზეზირგანი ხარ და სოვდაგარი,
სულ შენ მოგივა სხვის მონაგარი,
აღებ-მიცემა მოგნიჭებია,
ზღვა და ხმელეთი შენა გრგებია,
ადლი, საწყაო, ოქრო, სასწორი,
ყველა შენია—ვინა გყავს სწორი?..
—«ჩემო ბატონო, ის მიწუხებს გულს,
რომ ვეღარ ვხედავ მე ვეღარსად ფულს»!..

—

ნეტა რას ფიქრობ, რას გიწუხს სული?
რამ გაგიტეხა ჯანი და გული?..
მეომარი ხარ, მკვირცხლი და მაღი,
შენვე გიპყრია რისხვა და ხრმალი,
გემორჩილება კერპი, თავხედი,
ჯიუტმაც შენ წინ დახარა ქედი:
ზღვა და ხმელეთი გემორჩილება,
ვინ და ან რაღას შეგეცილება?..
—«მე ის მაფიქრებს, ის მიწუხებს გულს,
რომ დღეს ყოველ სულს მყუდროება ჰსურს.

—

ნეტა რას ფიქრობ, რას გიწუხს სული?
რამ გაგიტეხა ჯანი და გული?..
შენა ხარ კაცი განათლებული,
ჭკუით და სიბრძნით სახელდებული,
შენ გემონება: მხვნელი, ვაჭარი,
დიდი და მცირე, თვით მეომარი...
ყველა შენია, შენ გიგდებს ყურსა,
შენით ცოცხალა, შენით სჭამს პურსა...
—«მამიავ! მისთვის მიწუხს მე გული,
რომ აღარ მისმენთ, აღარ გაქვსთ სული!..»

ზ. რაფ. ერისთავი.

## კვირის საუბარი.

ადვოკატები ქუთაისის გუბერნიაში.—ჩვეულებური რკინის გზის ოხუნჯობა.—ამ ოხუნჯობის მსხვერპლი.—ბ. პრისტავის მოგზაურობა საგარეჯოში, თავისის შესაფერი ამალათი.—საიდუმლო მ. გ—ოვი, რომელსაც რიკოვების სუნი მოზდენია.—იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელის იუბილეი.

ბევრი კაი ხელობაა ქვეყანაზედ და არც ადვოკატობას უჭირავს მათში უკანასკნელი ალაგი. არც ჰხნავ, არც სთეს, მაგრამ ლუკმა პური კი მაინც უზრუნველი გაქვს. სცხოვრობ შენთვის ფრინველივით, გათამამებული, ნაზი, გალაღებული. ეს არის, რომ ცოტა ზნეობრივ სისუფთავეზედ უკაცრავოთა ბძანდებით, მაგრამ არც ამას უნდა შეეშინდეს კაცი—თვით ბრწყინვალე მზის სახეზედაც კი იპოვნის სასტიკი გამომძიებელი რამე ლაქასა, და ადვოკატები ხომ, რაც უნდა იყოს, მაინც კაცები არიან. ამიტომ, სულაც არ გახლავთ დასაძრახისი, რომ საცოდავი ადვოკატების ხელობას იმ თავითვე დაჰკვრია ბეჭედი უსუფთაობისა და არავითარი მანქანა არ გამოიძებნა ამ ჭუჭყის მოსაშორებლად. ერთის მხრით, საამური ბუნების მოვლენაც გამოდის ამ ხელობაში—შინაგანი უსუფთაობა შეერთებულია გარეგან სინაზესთან, სიკეკლუცესთან, დარბაისლობასთან და კიდევ ბევრ სხვა სიკეთესთან. ადვოკატების გულის სამუდამო გასამაგრებლად საკმარისია მხოლოდ, რომ იმათ საქმე ჭკუიანად წაიყვანონ და არამცა და არამც არ გადააჭარბონ უსუფთაობის ზომას: ადვოკატი ხარ, ამიტომ, მართალია, შენთვის «სხვისა ჭირი—ღობეს ჩხირია» და უფრო მეტიც, რადგან ეს ჭირი მარდად მოაცუხცუხებს შენკენ ლხინსა, ჯიბის ბედნიერებას; მაგრამ, შე მამა-ცხონებულო, მიგაქვს ჩემი ლუკმა? კარგი, წაიღე, მხოლოდ ცოტა მეც დამინარჩუნე ჩემი ოფლით მოპოვებული სარჩო და! თორე ძნელია ძალიან, რომ მიეზიდები წინდაუხედველად, რაც კი მაბადია, და თანაც უკანა გრჩება თვალი—აცა, ხომ მომავალში არსად ულიმის ბედი, რომ ევება იმასაც ზედ გადავაწვეო. ეს მხოლოდ ყმაწვილური სიხარბეა. თუ კი დღესვე ამოიჭამ მთელ ხალხს, ალათ გინდა საგაისოთაც დაგრჩეს რამ გამოსანახი!?...

სწორედ ასეთი ბავშობა გამოიჩინა მთელმა ქუთაისის გუბერნიის ადვოკატების კორპორაციამ. და ამიტომაც შევესწარით იმ არგაგონილ ამბავს, რომელიც მოხდა ამ მოკლე დროს იმერეთში. შეწუხებული ხალხი წარსდგა ბ. გუბერნატორის წინაშე და, სხვა სოციალურ სენებთან, შესჩივლა ადვოკატობის საშინელ ჭირიანობაზედაც, ადვოკატების მოქმედებაზედაც: «მოგვაშორეთ თავიდგან ეს რაღაც ვექილები არიანო—ჩაგვიმწარეს დღენი, დაგვიშრეს სისხლი, აღარ გვეცხოვრება ჩვენს მიწა-წყალზედ. უამგათოდ კიდევ როგორმე სულს მოვიბრუნებდითო».

* *

არა, მართალია, ამ შემთხვევაში ადვოკატები ცოტასა სტყუიან, მაგრამ თითონ იმერლები კი უფრო მტყუანები არიან ადვოკატებთან, ამავე შემთხვევაში. ძუძუთა ყმაწვილის გარდა, დღეს ვინ არ იცის, რომ უადვოკატოდ ფეხს ვერსაით გადასდგამ? ვის არ ეყურება, რომ ადვოკატი ჩვენი თანამგზავრია ცხოვრების ასპარეზზედ? ყოველ ჩვენ ნაბიჯს უკან მოსდევს თემიდა. ეს აშკარაა. და განა შეიძლება თემიდის ტაძარში შესდგა ფეხი უადვოკატოდ!? იქნება იმერლებს არ ეჭაშნიკებათ, რომ ადვოკატის თანამგზავრობას გასამრჯელო სჭირდება? ეგ იმასა ჰგავს, რომ ის ხალხი ნამეტანსა თხოულობს ადვოკატებისაგან—უნდა, რომ თავისი გზის მა-

იმ საგანზედ ლაპარაკი, რომ რაც თბილისის მამულები პრიკაზშია დაგირავებული ქალაქის ბანკს შემდეგის პირობით გადაეცეს: პრიკაზმა ამ ბანკის ბილეთები იმ ფასად აიღოს, რა ფასიც ბილეთებს ზედ აწერიათ, ე. ი. ათ თუმანს ვალში მიიღოს ათ თუმნიანი ბილეთი, ანუ ყოველ ათ თუმანზედ სამი თუმანი დაიკლოს.

რასაკვირველია, ქალაქის ხმოსანთაგან ქალაქის მემამულეებზედ ზრუნვა კანონიერია და არც ის არის გასაკვირველი, რომ პრიკაზს ყოველ ათ თუმანში სამი თუმანი საჩუქრად გამოსთხოვონ — როცა საბძელი იწვის ხელს ყველა მოითბობს ხოლმე—მაგრამ ის გვაკვირვებს,— თუ კი მამულის მეპატრონეებს ეჭირვებათ ზრუნვა, ნუ თუ იმ ღატაკი ხალხის ბედი უფრო საზრუნავი არ არის, რომელსაც თავიანთ ავეჯეულობაც კი დასაგირავებლად გამოუმეტნია? პრიკაზი რომ დაიხურება, მემამულენი ქალაქის ბანკში უნდა დაბინავდენ და წვრილმანი ხალხი კი ან თავის ნივთებს უნდა შეელიოს და მათის გაყიდვის მოწმად დაესწროს, ან მამასისხლად სარგებლით ფული ივალოს და ისე გაანთავისუფლოს თავის ნივთები. განა არა, ქალაქის გამგეობამ წარადგინა პროექტი იმისთანა ბანკის დაარსებისა, სადაც წვრილი ნივთების დაგირავება შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ საბჭომ არა კეთილ-ინება გამგეობის აზრი მიეღო.

თუ კი ხმოსანთ ქალაქის შეძლებულ მცხოვრებლებისათვის ისე შესტკივათ გული, რომ თავის დამცირებას და მთავრობისაგან ფულის თხოვნასაც არ ერიდებიან, ნუ თუ ღარიბი ხალხის ბედი ნაკლებად საზრუნავი იყო? იმისთანა ბანკები, რომელნიც მცირე სარგებლით შეუძლებელს ხალხს გირაოს წარდგენის შემდეგ ხელს უმართვენ, ყოველს განათლებულ ქალაქში არსებობენ და არც ჩვენს ქალაქს აწყენდა მათის მზგავსის დაარსება. სხვა არა იყოს-რა, ღარიბი ხალხი იმ მოვახშეებს მაინც ასცილდებოდა, რომელნიც ნივთეულობაში მეოთხედ ფასს არ იძლევიან და აქედამაც ნახევარზედ მეტს წინდა-წინ სარგებელში იღებენ.

## შინაური ქრონიკა

≈ ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, რომ ბ. ანდრია კაპანაძემ გლაუბერის მარილი აღმოაჩინა საგარეჯოს ახლოსაო. ეს მარილი თურმე საგარეჯოულების საერთო მამულზე ყოფილა, და როგორც თითონ სოფლელები ამბობენ, დიდი ხანი იყო, რაც ამ მარილზედ ყურადღება ჰქონდათ მიქცეული. ეხლა სოფელს თავის სკოლის მასწავლებლის, ა. ცხვედაძისთვის მიუნდვია თბილისში ჩამოსვლა და, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობა, რომ ამ მარილის შემუშავების ნება მიეცეთ. ამ მარილში აღებულ ფულს სოფლის სასარგებლოდ აპირობენ მოხმარებას.

≈ ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს პირს კახეთში აღმოუჩენია ძველი ნაშთი, რომელზედაც სოლებრივი წარწერებია.

≈ გორიდამ იწერებიან, რომ აქაური მოსამართლე დიდი ხანია, რაც ავადმყოფობს და მომჩივან—მოპასუხეთ მაინც იბარებენო; საბრალო გლეხები ზოგნი ასის ვერსის სიშორეზე მოდიან და მასუკან ტყუილად შინვე უნდა დაბრუნდენო. ის ემჯობინებოდა, ჯერ ჯერობით ხალხს აღარ იწვევდენ და საქმეებიც მოსამართლის მორჩენამდე გადასდონო.

≈ ბ. ესტატე ღამბაშიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი არ არის იმ წერილების ავტორი, რომელიც ჩვენს გაზეთში ჩხრეკიაშვილისაგან ხელ-მოწერილები იბეჭდებოდა და ჩვენც ვაცხადებთ, რომ ჩხრეკიაშვილი სულ სხვა პირია და არა ბ. ესტატე ღამბაშიძე. ამას კი ვაცხადებთ, მაგრამ ვერ ვითმენთ,— ჩვენი მწუხარება არ განვუზიაროთ მკითხველებს, როდესაც ამისთანა წერილებს მიაწერენ ხოლმე. სჩანს, რომ ქვემძრომნი გმირნი თვით კორესპონდენციების შინაარსს კი არ აქცევენ ყურადღებას, უნდა გამოსჩხრიკონ, ვინ არის ავტორი, და რომ შემდეგ როგორმე გადაუხადონ სამაგიერო, თუ ჭკვის მახვილ-გონივრებით ვერა, უგუნურებით მაინც, თუ ბეჭდვის სიტყვით ვერა, მუშტის კრივით. ამგვარ გმირთა მოქმედებას, გაფაციცებით კორესპონდენტების ძებნას ჯავრის ამოსაყრელად, ღირსეულად დააფასებს მკითხველი საზოგადოება და თავის ზიზღსაც უძღვნის მათ ღირსებისამებრ.

## უცხოეთი

— ჩინეთის ჯარზე საინტერესო ცნობებია გაზეთებში მოყვანილი. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ ჩინეთის ჯარში 300,000 კაცია და სამ ნაწილად არის გაყოფილი. თვითეულს ნაწილში 100,000 კაცია. ერთი ნაწილი სდგას რუსეთის სამზღვართან და სამ კორპუსად იყოფება, რომელთაც შემდეგი სახელები ჰქვიანთ: მანჩჟურისა, ცენტრალური და თურქესტანისა. მეორე ნაწილმა პეკინი და ყურე, ანუ ზღვის ტოტი პეტჩილი უნდა დაიცვას; ამ ჯარის სარდლად არის მეფის მოადგილე ლი-ხუნგ-ჩანგი. ეს ჯარი ყველაზე უფრო კარგად არის მოწყობილი და განვითარებული. სამსახურის

---

ჩვენებელი ვარსკვლავი მუქთად ემსახურებოდეს მას. კარგია, თქვენმა მზემ. მის არ უნდა მუქთი მუშა!

არაო, იტყვიან იმერლები, ქარისა არც შემოტანილი გვინდა, არც გატანილიო. ჩვენთვის არ არის საჭირო იმათი არც მუქთი და არც ფასიანი სამსახური, დაგვანებონ თავი, ღმერთმა მშვიდობა მისცეთო.

ჰო, რასაკვირველია, რომ შესაძლო იყოს კაცმა უადვოკატოდ გაიტანოს თავი სასამართლოში, დაიცვას აშკარა სიმართლე, ან დაჰფაროს არა ნაკლებად აშკარა ბოროტ-მოქმედება,—კიდევ წარმოსადგენია იმერლების საჩივარი. მაგრამ სადაც ტკივილს არა ეშველება-რა, იქ სულ ტყუილია ხვეწნა-მუდარა. ადვოკატების ზნეობითი სისუფთავე დამოკიდებულია მათ სინიდისზედ და სხვა არავითარ ძალაზედ.

* *

თქვენ რაც გინდათ სთქვით, და ადვოკატები კი თავისას მუდამ გაიტანენ. იმათ ვერავინ გადუდგება წინა. მე ვიცი, ენა წამოუბრძიკდებათ თუ! თეთრის გაშავება, ყვითლის გაწითლება და კიდევ ბევრი ამისთანა დარბაისელი მანქანების ხმარება შეადგენს იმათი ხელობის თავსა და ბოლოს. იმათთვის საჭირო არ არის ვისიმე წასარჩლება. ხალხს კიდევ ხომ რა ფარ-ხმლობას გაუწევს გაზეთი! ამიტომ ჩვენი მცირედი დახმარება გავამწვსოთ იქითკენ, სადაც ვგრძნობთ, რომ მეცადინეობა უქმად არ ჩაგვივლის. მე მოგახსენებთ ჩვენებურ რკინის გზაზედ.

სულ წინედ, კონდუქტორებს ჰქონდათ საჯდომი ვაგონის პლატფორმაზედ. ამითი არა ხდებოდა-რა ცუდი, რასაკვირველია. უკანასკნელ წლებში მოსწყინდა გზის გამგეობას ამისთანა აუშფოთებელი ერთგვარობა, ადგა და, დროების გასატარებლად, ოხუნჯობა დაიწყო. და მართალიც უნდა თქვას კაცმა, რომ ოხუნჯობაში გამოიჩინა ზომიერი ნიჭი. აი, გასინჯეთ: ვაგონების ზემოდამ წამოასკუპა პატარა სკამები და ზოგ მათგანს ზევიდამ დასახური ფიცრებიც გაუკეთა. ეს ისეთი მახვილი და სასაცილო რამ შენობა გამოვიდა, რომ ადამიანის ბუდეს გაგონებდათ, თითქო კონდუქტორები ფრინველებად გადაქცეულანო. მართალია, ეს მახვილობა არ შეადგენს ჩვენი გზის გამგეობის საკუთარ გამოგონებას, იგი სხვებიდგან არის ნასესხი, მაგრამ მახვილობა ყველგან მახვილობაა: რამდენს ჩვენგანს მოსვლია ტუჩებზედ ღიმილი ამისთანა საბუდარში მისკუპებული კონდუქტორის დანახვაზედ.

მერე, რაკი ერთი დაიწყო ოხუნჯობა და ხალხმაც მხიარულად მიიღო იგი, აქედამ ყველას უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ ამით არ იკმარებს ოხუნჯი, კიდევ იზამს რამე სასაცილოს, გასამხიარულებელსაო.

ასეც მოხდა. აგერ, გაიმართა ბაქოს გზა, შეერთდა ბათუმი თბილისის გზასთან. ხალხმა დაიწყო მისვლა-მოსვლა. ერთი ყოფა, ერთი ამბავი... აქ საჭირო იყო რკინის გზას მიეზიდა საზოგადოების ყურადღება არა მარტო იმითი, რომ იგი კაი მატარებელია, არამედ იმითიც, რომ მასა აქვს აგრეთვე სულის ძალაცა. უმთავრესი დამტკიცება ამ ძალისა გახლავთ გონების გამჭრიახობა. და ვინ იქნება ისეთი ურწმუნო თომა, რომ არ დამეთანხმოს, თუ რა დიდი გონების ძალა უნდა ჰქონდეს გამგეობას შემდეგ მოსაზრებაში: ეს საბუდრები ხომა აქვთ ვაგონებსაო, ეს კონდუქტორებიც ხომა გვყავსო და მოდი ისე მოვაკრიკლოთ საქმე, რომ ამა ვრცელი გზისთვის მაგრე რიგად არ გავამრავლოთ მსახური ხალხი, ვიკმაროთ ცოტათი და ვნახოთ, რა იქნება, შორიდამ თამაშას ვუყუროთო.

მართლაც თამაშა გამოვიდა ისეთი, რომ თქვენი მოსაწონი. რაკი მსახურნი ნაკლებად იყვნენ, ამითი შეღავათი მიეცა აქციონერების ჯიბეს. გამგეობამ დიდად აამა გზის პატრონებს. ეს ერთი და ღმერთი. ამას დაუმატეთ კიდევ ისა, რომ მოსამსახურენი უფრო მეტ გამრჯელობას ეჩვეოდენ, უფრო ბევრი ჰქონდათ სამუშაო, ვიდრე კაცის ფიზიკური ღონე შესძლებს. ამითი, რასაკვირველია, იწვრთნებოდა ხალხი. გარდა ამისა, მსახურნი ეჩვეოდენ მოხერხებას, რომ ნაკლები შეძლებით მომეტებული საქმე გაეკეთებინათ. სხვებისა კი ჯერ არა ვიცით-რა, მაგრამ კონდუქტორების ხერხიანობაზედ კი ბევრი რამ შევიტყეთ. სხვათა შორის, ისიც, რომ კონდუქტორები, რადგან ხშირადა ხვდებოდათ ჯერი საბუდრებში ჯდომისა და ამიტომ ძილს ვერ ელირსებოდენ ხოლმე თავიანთ ლოგინში, ამიტომ გაიყოლებდენ თანა მოსხო თოკებს და მიებმებოდენ ვაგონების ხსენებულ საბუდრებზედა. უკეთუ ძილი წაართმევდათ თავსა, ჩამოვარდნის შიში სრულებით არა ჰქონდათ.

ამაზედ მომეტებული ოხუნჯობა განა კიდევ შეიძლება! ცალკე მხიარული სიცილი, ცალკე ორ-გვარი სარგებლობა—გზის პატრონების ჯიბისათვის და მსახურთა გონების ვარჯიშობისათვის. მაგრამ აგერ მოხდარა უბედურება: კონდუქტორი ზახაროვი გადმოვარდნილა ვაგონიდგან და ისე დამტვრეულა, რომ, თუ ცოცხალი გადარჩა, სამუდამოდ უნდა დამახინჯდეს. რა თქმა უნდა, რომ ეს უბედურება არავის იამება და ყველაზედ ნაკლებ თითონ გზის გამგეობას. ამიტომ, განა ვისმეს არ აუკანკალდება ხმა, რომ საყვედური მისცეს გამგეობას, ან გზის პატრონებს?! იმათ რა ქნან! ხომა სწყინთ კაცის უბედურება, მეტი რაღა გინდათ!? აქ თუ ვისიმე ბრალია, ისევ თითონ ზახაროვისა: აბა, იმ კაი ადამიანის შვილმა რაზე გააბრიყვიანა გამგეობა, რად გადმოვარდა ძირს და რად გაიფუჭა თავისი ცხოვრება?! ხომ იცოდა, რომ ხუთი დღის უძილო იყო და რატომ თან თოკები არ წაიღო, არ მიება მისთვის გამზადებულ საბუდარსა! თითონაც ხომ ასცდებოდა ამ განსაცდელსა და არც თავის უფროსებს წარებგამდა! სულ ზახაროვის ბრალია... საწყალი უფროსები! კიდევ იმათ უნდა დაემდურნენ მეტის-მოლაპარაკენი...

* *

მაგრამ ეხლა ისეთი დაწყევლილი დრო დაგვიდგა, რომ ყველას აეყარა პატივი და თუ რომელსამე მოხელეს—დიდია თუ პატარა—ერთი

გადა აქ სამი წელიწადია, რის შემდეგაც სხვა ჯარებში გადადიან მათ გასაწრთვნელად. მესამე ნაწილი სდგას სწორედ იმ პროვინციებში, რომელთაც კედელი აქვსთ შემოვლებული. იმ ჯარში, რომელიც ტონკინის მახლობლად მდებარე პროვინციებში სდგას, სულ 35,000 კაცი ირიცხება. აქედამ, როგორც იწერებიან, ჩინეთს შეუძლიან ფრანცუზების წინააღმდეგ გამოიყვანოს მხოლოდ 30,000 კაცი, მაგრამ შეუძლიანთ ამათ მოაშველონ კიდევ სახალხო მილიციაც, რომელიც 12000 კაცისაგან შესდგება. ჩინეთმა თუ კარგად წაიყვანა საქმე, მაშინ 15,000 ფრანცუზი, რომელნიც ტონკინში არიან, საკმაო არ იქნება და ვერ შეიმაგრებენ ჩინეთის და ანამის ჯარებს. ის 5,400 კაციც, რომელნიც ეხლა უნდა გაგზავნონ, საკმაო არ არის. მცოდნე პირების აზრით 15,000 კაცი მარტო მოშველი ჯარი უნდა ჰყვანდეს საფრანგეთს, თუ ფრანცუზებს არ უნდათ ჩვეულებრივი შეცდომები ჩაიდინონ.

— «ჰავასის სააგენტოს», ბელგრადიდგან მოსვლია ტელეგრამა, რომლისაგანაც სჩანს, რომ სერბიაში პროკუპლის მცხოვრებნი კიდევ აჯანყებულან და მმართებლობას დიდ-ძალი ჯარი დასჭირებია იმათ დასამშვიდებლად. აქედამ სჩანს, რომ ჯერ კიდევ შორს არის სერბიის დაწყნარება, და ხრისტიჩი და მილანი ჯერ კიდევ დიდხანს ვერას გასდებიან თავისი სასტიკი მოქმედობით.

— ამ დღეებში განოვერში გამოსულა ერთი ეტიუდი შემდეგი სახელ-წოდებით: «ავსტრიისა და რუსეთის შორის მომავალი ომი». ავტორი ეტიუდისა ამტკიცებს, რომ რუსეთმა და ავსტრიამ სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო ჯარები უნდა შეჰკრიბონ გალიციის სამზღვარზედ. ამასთანავე იკვლევს საზოგადოდ იმ გადასატან-გადმოსატან საშუალებათა, რომელნიც ამ ქვეყნებსა აქვსთ. ავტორის აზრით, რუსეთისთვის უფრო ადვილია ზედ-მისვლითი ომი, ვიდრე ავსტრიისათვის. გალიციის რკინის გზებს ისეთი ნაკლულევანებანი აქვს და ამ ხრივ ისე ცოტა გამაგრებული ადგილებია, რომ, შეიძლება, აქ დაყენებული ავსტრიის ჯარი სულ ერთიანად შემუსროს მტერმა, ვიდრე სხვა ჯარი მოეშველებოდესო. მეორე დასკვნა, რომელიც ავტორს გამოჰყავს გადასატან-გადმოსატან საშუალებათა და გზა-ტკეცილების და რკინის გზების მდგომარეობისაგან, ის არის, რომ ავსტრიის ჯარები ზედ-მისვლით ომს ვერ მოასწრებენ პოდოლსკის და ვოლინსკის გუბერნიებში დაყენებულ რუსის ჯარის წინააღმდეგ, ვიდრემდის ერთი თვე მაინც არ გაივლის ომის გამოცხადების შემდეგ.

— გაზეთი ფრანცუზული გაზეთი იწერება, რომ 11 დეკემბერს (ახ. სტ.) მინისტრმა-პრეზიდენტმა ჟულ-ფერიმ გამოაცხადა დეპუტატთა პალატის, კრებაზე რომ მართებლობას განზრახვა არა აქვს ახალი ადგილები და ქვეყნები შეიძინოს აღმოსავლეთში, იმას ჰსურს მხოლოდ დაიცვას იქ თავისი კოლონიებიო. საფრანგეთმა გაგზავნა ჯარები თუნისში იმიტომ, რომ დაეცვა ალჟირი, იგივე ჯარი შემდეგ ტონკინისკენ გაემგზავრა კიდევ იმიტომ, რომ კოხინხინი დაეცვაო. ნამდვილი მიზეზი ამ გვარად საქმეების დახლართვისა ის არის, რომ კაბინეტის წევრნი მეტის-მეტად მალ-მალ იცვლებიან და მინისტრებს დრო აღარ რჩებათ საფუძვლიანად მოისაზრონ და საქმე რიგიანად შეიგნონო; ამისგამო უმთავრესს პირობას გარეშე პოლიტიკისას მოკლებულნი არიანო. შემდეგ ფერიმ სთქვა, რომ მმართებლობამ ყოველგვარი საშუალება იხმარა ჩინეთთან მშვიდობიანად მორიგებულიყო, მაგრამ ვერა გახდა-რაო, რადგანაც ჩინეთი დღითი-დღე უფრო მეტსა და მეტს თხოულობსო. ჟულ-ფერი ფაქტიურად უმტკიცებდა პალატას მმართებლობის ზომიერებას ტონკინის საქმეში. ამას წინად მარკიზ მენგმა მოსთხოვა მმართებლობას, საფრანგეთის ჯარი ნუ მიდის ბაკნინგისკენ და სონტოისკენაო—განაგრძო ფერიმ—მაგრამ, რადგანაც ჩინეთს არ ეტყობოდა მორიგების სურვილი, ამისათვის საფრანგეთის მმართებლობამაც არ შეასრულა მისი მოთხოვნილებაო. თუ პალატამ იცის სხვა რომელიმე პოლიტიკა, რომლისაც შეუძლიან დაიცვას საფრანგეთის სახელი, პატიოსნება და კოხინხინიც, გამოაცხადოს [illegible] ტიური კავშირი [illegible] და ომი ბაკნინგს და სონტოის არ გასცილდებაო. საქმე რომ კარგად წავიდეს, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავიპყრათ კარგი სტრატეგიული ადგილებიო. მოშველე ჯარს საფრანგეთი მაშინ გაგზავნის, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს ადმირალი კურბე. მმართებლობა ითხოვს ნდობასა ჯარის გულისთვის და თვით ამ საქმის სარგებლობისათვისაო,—სთქვა ბოლოს ფერიმ.

ამავე კრებაზე დეპუტატი ანდრიე აყვედრიდა მინისტრებს, რომ ისინი მეტის-მეტად თავისუფლად, პალატის დაუკითხავად მოქმედობენო. რიბომ სთქვა, რომ თუმცა აქამდინ მმართებლობამ ბევრი შეცდომა ჩაიდინა, მაგრამ მაინც სამშობლოს სიყვარულისთვის ეხლა მისი მხარე უნდა დავიჭიროთო. კლემანსო ჩვეულებრივ მკაცრად ჰკიცხავდა მმართებლობას და ამტყუვნებდა იმაში, ვითომც მას პალატა ცთომილებაში შეჰყავდეს. ამის შემდეგ განიხილეს ახალი კრედიტის საქმე და 381 ხმის უმეტესობით 146 ხმის წინააღმდეგ გადასწყვიტეს, რომ ეს კრედიტიც მიეცეს მმართებლობას. მერე პოლ ბერმა წინადადება მისცა პალატას, საქვეყნოდ გამოეცხადოთ, რომ მმართებლობას შეუძლიან და ჰსურს კიდეც ენერგიულად დაიცვას საფრანგეთის პატიოსნება და გავლენა ტონკინ-

---

ფეხი წაუბორძიკდა, მაშინვე ქვეყანა უნდა შეუყარონ. აგერა, საგარეჯოსი და მოხელეს ამისა არ იყოს: წასულა კაცი პატიოსნური განზრახვით—დაევლო თავისი მრევლი, მიეხედა მისთვის, შეეტყო იმისი ავკარგიანობა. ღვთის ამარაზედ ხომ ვერ გაუშვებდა იმოდენა სოფელს! როგორ არ ენახა! მაშ რა პასუხს გასცემდა თავის უფროსებს, თუ კი შინ იჯდებოდა და თავის მოვალეობაზედ ყურს მოიყრუებდა! წასულა და თანაც ერთი ხუთმეტიოდე «გამოჩენილი» პირი მიუწვევია, ყოველ შემთხვევისათვის.

მეორე-მესამე დღესვე ბოროტ-განზრახველთ დაჰყარეს ხმები—«ჩამოვიდა ბ. მოხელე, მოლალა საეჭვო თათრები, აამტუტა ხალხი, ჩაიდინა ერთი ყოფა, ვაი-ვაგლახი, დააწიოკა გლეხებიო. ამ დაწიოკებას კიდევ მოჰყვა გულის გამქარვებელი დაპატიჟება ბ. მოხელესი თავისის მძლავრი ამალითი სოფლელთა მიერ და თითონ ეს დაპატიჟებაც სოფელს სახელმწიფო ხარჯში შეკრეფილი თხუთმეტი თუმანი დაუჯდაო. ასე რომ ერთხელ გადახდილი სახელმწიფო ვალი ხელმეორედ უნდა შეიტანოს ხალხმა, უნდა ჯანი გაიგდებინოს და, საიდამაც იყოს, იშოვნოსო.

თითქო დიდი რამ მომხდარიყოს! თექვსმეტი კაცის დახვედრა იმოდენა სოფელს სულ რაღაც თხუთმეტი თუმანი დასჯდომია, და ამის გულისთვის პატიოსან კაცს თავზედ ლაფს ასხმენ! მერე, ეს მოხელე, რაც გინდ დაბალი ხარისხის ადამიანი იყოს, განა ისეთი მცირე ვინმე ბძანდება, რომ იმისი გულის დამშვიდება თხუთმეტ თუმანზედ ნაკლებადა ღირდეს!?...

ერთი სიტყვით, დრო წახდა. ბრომშების ინტერესისათვის თითონ ამ გვარ მოხელეებსაც კი გულს უფუჭებს ეხლანდელი ხალხი. უწინ კი სულსაც არ დაზოგავდენ ხოლმე არამც-თუ მათთვის, იმათ მზარეულებისთვისაცკია.

აი, ამიტომაც მესმის და კიდევაც თანა-ვუგრძნობ საგარეჯოელ მოხელის სიღნაღელ კოლეგას, რომელიც ისეთი სასტიკი წერილითა თხოულობს «დროების» რედაქციისაგან, რომ უკანასკნელმა მეატყობინოს სახელი იქაური კორესპონდენტისა, რომელსაც საქვეყნოდ ზოგი-ერთი მისი სახოთირო თვისება გამოუცხადებია. და მართლაც, როგორ არ მოუვიდეს კაცს გული ამისთანა თავხედობაზედ, მერე კაცს, რომელსაც იმოდენა მრევლი ჰყავს მიბარებული და განაგებს მას სურვილისამებრ თვისისა!.. ჰაი, ერთი უნდა იცოდეს იმ ვიღაც «მბლაჯნილის» სახელი, თითონ იცოდა, რა დღესაც დააყენებდა, მაგრამ სად არის!

* *
*

აგერა მ. ზ. ებარა, რამდენიმე ათი წლის განმავლობაში, კაი მოზდილი მრევლი, რომელსაც განაგებდა სურვილისამებრვე თვისისა, მაგრამ ეხლა ცოტა ნასტომი შეშლილია, წაბორძიკებულა და სისხლის სასამართლოდ გახდომია თავი. სულ რისთვის? რაღაც შვიდასიოდე თუმანი ფული შემოხარჯვია და იმის გულისთვის იქნება ხელიც აალებინონ ამდენი ხნის შეჩვეულ საქმეზედ. საითაც გაიხედავ კი, სულ გესმის ცხარე ბაასი და ქადაგება სიბრალულიზედ, ადამიანის შეწყნარებაზედ. სადაური სიბრალულია, როცა ფულის შემოხარჯვისათვის ვინ იცის, რამოდენა ბიაბრუობა უნდა მიაყენონ კაცს! მერე, ნეტავი იმდენი მაინც იყოს, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. თუ არა და, სულ შვიდასი თუმანი, ისიც ჩვენ დროში, როცა სხვათა ფულის მადას სამზღვარი დაჰკარგვია და მილიონობით იგმევა ზოგი ისეთი სამარცხვინო ადამიანებისაგან, რომელნიც მ. ზ. ბრჩხილადაც არა ღირან. აფსუს, რომ მოსკოვის ერთგვარი პუბლიცისტები ჩვენც არა გვყვანან—აბა ისინი ამოუსხდებოდენ მხრებში საიდუმლოდ მ. ზ. და გაუმაგრებდენ შეშინებულ გულს. მაგრამ აბა ეხლა ვინ ამოიღებს მასზედ კეთილ ხმას და ან რა მნიშვნელობა ექნება ამ ხმას, გინდა კიდევაც რომ ამოიღოს ვინმემ! ნეტავი ადვოკატი მაინც რიგიანი შეხვდეს მ. ზ. იტყოდა, რომაო «დღეს მთელი კაცობრიობა დაბნეულია ფულის ინტერესითაო და, რა საკვირველია, რომ ჩემ კლიენტსაც მიზდენია ეს მავნე სენი, რომელიც თითონ ჰაერში ტრიალებს და მაცდურობით გზას უკარგავს სუსტ ადამიანს, მეტადრე უკეთუ ეს უკანასკნელი ჰგრძნობს თავის ახლო-მახლო სხვათა ფულების არსებობასაო, აი როგორც საწყალი ჩემი კლიენტი ჰგრძნობდაო. შეცდა კაცი, დააფასეთ გარემოების ზედ-მოქმედება ადამიანზედ და განახორციელეთ სახარების სიბრალული, შეწყნარება ცხოვრებაშიო, «მიუტევეთ თანანადებნი მისნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთაო». იქნება ადვოკატის სიტყვას მიენიჭებინა შეწყნარება მ. ზ., მაგრამ ეხლა ეს საქმე ქუთაისში მომხდარა და აბა იქაური განაწყენებული ადვოკატები რაღას დაინდობენ თავიანთ კლიენტებს, მის შემდეგ, რაც საქვეყნოთ მოეჭრათ თავი უკანასკნელების მიერ, რაც ბ. გუბერნატორს მიერთვა მათზედ საჩივარი!..

* *
*

მაინც ეხლა კაცს აღარავიზედ არ უნდა ჰქონდეს ნდობა. დარჩომილან ჩვენში მხოლოდ მამა მღვდლები და დიაკვნები, რომელთაც კიდევ შეიძლება ვერწმუნოთ. ამას დაინახავთ იმერეთის სამღვდელოების მეცადინეობაში შესახებ ყოვლად-უსამღვდელოეს იმერეთის ეპისკოპოზ გაბრიელის იუბილეისა, რომელიც უნდა დღესასწაულებულიყო 6 ამა დეკემბერს, მაგრამ ვერ იდღესასწაულეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ იზრუნეს დასტური აელოთ უმაღლესი მთავრობისგან...

დღესასწაულობის წადილი ხომ განვაცხადეთ. ესეც ბარაქალა ჩვენ შრომის-მოყვარეობას. და თუ ოდესმე ნებაც მივიღეთ, მაშინ კიდეც ვიდღესასწაულებთ. მორჩა და გათავდა...

სტ. ჭრ—შვილი.

შიო. ეს წინადადებაც მიიღო პალატამ 315 ხმის უმეტესობით 206 ხმის წინააღმდეგ.

— რადგანაც ჩინეთის ჯარი სიმაგრეებს ეტანება და ციხეებში იკრიბება, აქედამ გაზ. «ტანს» ის დასკვნა გამოჰყავს, რომ მტერს მაინც-და-მაინც იმოდენა ჯარი არ უნდა ჰყვანდეს, რამოდენსაც ამბობენო. უეჭველია, ჩინელებს «შავთ დროშათ» და ანამელებს რომ სამყოფი მალა ჰქონდეთ, ფრანცუზებს წინ დახვდებოდენ და ბაკნინგისკენ აღარ გაუშვებდენო. ჩვენ ვიცით, რომ ჩინელებს ევროპიელი კომანდირები და მათგან კარგად გაწვრთვნილი სალდათები ჰყავთო, მაგრამ ისეც კარგად ვიცით, რომ იმათ გულადობა, სიმაგრე აკლიათ, მალე შეშინდებიან ხოლმე და გარბიანო. საფრანგეთის ჯარი კი სულ დარჩეული მეომრებისგან შესდგება და სარდლადაც კეთილ-გონიერი და გამოცდილი გენერალი ჰყავთო.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

9 დეკემბერს.

ოდესა. თანხის პატრონთა ფრანცუზების კომპანიამ შეუკვეთა ორი სპეციალური გემი ბაქოს პეტროლიუმის და მაშინებზე და სხვა ამ გვარ საგნებზე სახმარებელ მინერალური ზეთთა ბათომიდამ მარსელში სატარებლად; ეს გემები ისე იქნებიან მოწყობილნი, რომ ხსენებული ნივთიერებანი შიგ ჩაესხმიან; სიარულს მომავალი წლის მარტიდამ დაიწყებენ.

უკანასკნელ კვირაში ოდესაში მოვიდა 28 პურის წასაღებად დაქირავებული უცხო ქვეყნელი ცეცხლის გემი.

პარიჟი. 23 დეკემბერს ტონკინში წავა 3000 და 10 იანვარს 3200 კაცი.

გუშინ ძენგმა გამოუცხადა ფერრის, რომ ჩინეთი საფრანგეთს დაუთმობს სონგკოის დელტას და სონტოისა, ხოლო სონგკის დელტას და ბაკნინგს თვითონ დაინარჩუნებს; ტონკინის ჩრდილოეთის და დასავლეთის ნაწილნი ნეიტრალურ სამფლობელოდ დარჩნენო, ამასთანავე ჩინეთი ანამზედაც სრულიად ხელს აიღებსო.

ლონდონი. ამბავი მოვიდა, რომ 17(5) დეკემბერს ფრანცუზებმა დაიპყრეს სონტოის უმთავრესი წინა სიმაგრეები; მტერმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია; ამ დროს ფრანცუზებს მოუკვდათ და დაეჭრათ 15 ოფიცერი და 200 სალდათი. ციხე ჯერ კიდევ არ აუღიათ.

პეტერბურგი. ლეიბ-გვარდიის ეგერის პოლკის კომანდირს, გენერალს ფრეზეს, ბულგარიის მმართებლობამ წინადადება მისცა სამხედრო მინისტრობა იკისროს.

ლონდონი. გაზეთების ცნობები შესახებ იმისა, ვითომც ეგვიპტეში ახალი ჯარების გაგზავნას აპირობდენ, ტყუილი გამოდგნენ.

ვონი. ანამის ახალ მეფედ ამოირჩიეს იოგდიუკი; მცხოვრებლებს, ცოტა არ არის, აღელვება ეტყობათ- შიშობენ, გუეში საფრანგეთის საელჩოს არ დაეცნენო; ანამის დედა-ქალაქის დაპყრობა ფრანცუზების ჯარის მიერ ყველას საჭიროდ მიაჩნია.

პარიჟი. ის ამბავი, რომ ფრანცუზებმა სონტოისთან გამაგრებული ადგილები დაიპყრეს, ოფიციალურად მტკიცდება.

ირკუტსკი. გუშინ დიდის ამბით გააცილეს პოლიარული ექსპედიციის კაპიტნის დოლონგეს და იმის თანამოღვაწეთა გვამნი; ეს ექსპედიცია მოგზაურობდა ამერიკული გემით «ჟანეტათი», რომელიც 1882 წელში დაიღუპა. კუბოებს გვირგვინები დაადგეს; პროცესიის დროს ხალხს ურიგებდენ ლექსებს, დაწერილებს მიცვალებულთა მოსახსენებლად.

ლვოვი. გალიციის პროკურორს ბძანება მოუვიდა ვენიდამ, რათა საშუალება რამ იხმაროს იმ ცრუ და მაშფოთებელი ცნობების წინააღმდეგ, რომელნიც ავრცელებენ, ვითომც რუსეთი საომრად ემზადებოდეს, და სასტიკად თვალ-ყური ადევნოს, რომ პოლშის ჟურნალ-გაზეთები, რომლესაც რუსეთის საქმეებზე ლაპარაკობენ, ერიდებოდენ იმისთანა კილოს, რომელსაც შეუძლიან ავსტრიის და რუსეთის მეგობრული განწყობილობა შეარყიოს.

გონ-კონგი. ფრანცუზებმა აიღეს ონტოი; ამ დროს მათ მოუკლეს 3 ოფიცერი და 70 სალდათი, და დაუჭრეს 10 ოფიცერი და 170 სალდათი.

ბერლინი. გერმანიის მემკვიდრე პრინცი დიდებულად მიიღო გუშინ პაპამ. მათმა კერძო საუბარმა ერთ საათამდინ გასტანა. შუაღამისას პრინცი წამოვიდა რომიდამ.

ედინბურგი, 10 დეკემბ. ათ გლასტოველს მოდინამიტეს გადაეწყვიტეს: ხუთს სამუდამო კატორგა და დანარჩენს ხუთსაც შვიდის წლის კატორგა.

## განცხადებანი

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

### ქიუჩარიანცს

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ.

(14—11)

### თბილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 17 რიცხვს ამა დეკემბრისას გამგეობაში იქნება ვაჭრობა ჰუკის ხიდის და მიხეილის შოსსეს მორწყვის იჯარით აღებაზე, და ამისათვის მოიწვევიან ისინი, ვისაც სურთ ამ იჯარის აღება, რათა გამოცხადდენ გამგეობაში დანიშნულს ვადაზე, დილის 11 საათზე. იჯარის პირობების ნახვა შეიძლება გამგეობაში ყოველ დღე დილის 10 საათიდამ 2-მდინ. (3—1)

### დოქტორი კორში.

იღებს ავად-მყოფებს დილის 9 საათიდამ 12-მდე და საღამოთი 5 საათიდამ 7 საათამდე. ავლაბარი, ვარდის მოედანი, (Розовая площадь) სახლი № 3. (3—1)

### МУКА А. М. БРОДСКАГО ИЗЪ ОДЕССЫ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ა. მ. ბროდსკის ფქვილი ოდესიდგან.

უმორჩილესად ვაცნობებ პატივცემულ პუბლიკას, რომ მე ერთად ერთი აგენტი ვარ მთელს კავკასიაში და გავალე სამუდამო სკლადი ქ. ბათუმში «ოდესის სასტუმროს» ქვეშ.

გარეშე ქალაქებიდამ შეუძლიანთ მიმართონ ზემო-ხსენებულს სკლადს, სადაც ფქვილი იმავ ფასად გაიყიდება, როგორც თვით ოდესაში **წისქვილზედა ფასობს**, მხოლოდ მოემატება ბათუმში გადასატანი ხარჯი.

ფქვილის თვისებაზედ ბევრს არ ვილაპარაკებ: ამ ფქვილის მაღალი ღირსებამ ყველამ იცის. რაც შეეხება დროზედა და უტყუვრად გაგზანას, ამაში სკლადი კისრულობს პასუხისგებას.

აგენტი სიმ. ვოლფენზონი.

(5—4)

### ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1884 ГОДА ЖУРНАЛА

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(годъ четвертый)

**Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:**

I. Статьи по всѣмъ вопросамъ. вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассаціонныхъ рѣшеній: а) кассаціонныхъ департаментовъ сената, и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А. Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркеліа, П. И. Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, Д. П. Пурцеладзе, Я. И. Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А. А. Фонъ-Ашеберга, В. А. Хлѣбникова, Н. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ уложеній—Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношенахъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (изслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При меремѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., ½ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются по 25 коп. въ Тифлисѣ, въ Центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ, въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются безплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

(8—4)

*Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Декабря 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.